ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობა „**ამერ-იმერი**“- ის

კრების ოქმი N34

ქალაქი თბილისი, 2015 წ. 1აგვისტო

1) ამხანაგობის მისამართი: ქ. თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. N6/ბ

2) ამხანაგობის თავჯდომარე: დავით ჩოჩიშვილი, პ/ნ. 59001003605

3) კრების ჩატარების ადგილი: პოლიტკოვსკაიას ქ. N6/ბ, ბ. N5

4) კრების თავჯდომარედ არჩეულ იქნა დავით ჩოჩიშვილი, პ/ნ. 59001003605

5)კრებას დაესწრო 10 ბინის მესაკუთრე, რაც შეადგენს 100 %-ს.

6) დღის წესრიგი: **არსებული შენობის რეკონსტრუქცია მიშენება-დაშენებით წარდგენილი ესკიზის მიხედვით.**

7) **მოისმინეს**

ამხანაგობის წევრის ქალბატონი დარეჯან ბასიალაიას ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მას და ამხანაგობის ყველა წევრს სურს მოხდეს არსებული შენობის რეკონსტრუქცია მიშენება-დაშენებით წარდგენილი ესკიზის მიხედვით.

აზრი გამოთქვეს: ამხანაგობის დამფუძნებლებმა: ლ. ადეიშვილმა და მ. გელაშვილმა. მათ აღნიშნეს, რომ აღნიშნული ცვლილება ეზოს ინტერესებს არ დააზიანებს და გაალამაზებს საერთო ხედს..

ამხანაგობის თავმჯდომარემ დავით ჩოჩიშვილმა სთხოვა ამხანაგობის წევრებს ხელისმოწერით დაედასტურებინათ თანხმობა აღნიშნული ცვლილების შესახებ.

8) ამხანაგობა ,,ამერ-იმერის“ წევრებმა **ხმათა 100 % -ით გადაწყვიტეს:**

1. **არსებული შენობის რეკონსტრუქცია მიშენება-დაშენებით წარდგენილი ესკიზის მიხედვით.**

კრების თავმჯდომარე: (დ. ჩოჩიშვილი)

დავით ჩოჩიშვილი

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N150893225
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	19.08.2015 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	**ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება**
ნოტარიუსი	**ქეთევან გრიგოლია**
სანოტარო ბიუროს მისამართი	**ქ.თბილისი ვაჟა-ფშაველას 45, მესამე სართული**
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	593 127322
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	91867705284615

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ორი ათას თხუთმეტი წლის ცხრამეტ აგვისტოს მე, ქეთევან გრიგოლიას, ნოტარიუსს ქ.თბილისში, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. №45, მე-3 სართულზე მომმართა **დავით ჩოჩიშვილმა,** რომელმაც წარმომიდგინა **ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობა „ამერ-იმერი"-ს კრების ოქმი №34** და განაცხადა. რომ სურს ოქმზე ხელმოწერის სანოტარო წესით დამოწმება. **მე მას განვუმარტე, რომ არ ვამოწმებ უფლებამოსილებას, ოქმის შინაარსზე და სამართლებრივ შედეგებზე მე, ნოტარიუსი ქეთევან გრიგოლია არ ვიღებ პასუხისმგებლობას, მხოლოდ ვამოწმებ ოქმზე ხელმოწერას.**

მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი საბუთით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად მომმართა **დავით ჩოჩიშვილმა** (დაბ. 12.12.1967წ. დაბადების ადგილი: გორი, პირადობის მოწმობა №ბ1082090, პირადი №59001003605, გაც. 31.07.2007წ. სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ვაკის სამსახურის მიერ, მცხ. თბილისი, ჯიქიას ქ. №6, ბინა 5).

მე დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა, შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა.

დავით ჩოჩიშვილმა წაიკითხა და განაცხადა, რომ ოქმი ზუსტად გამოხატავს მის ნებას, რის შემდეგაც ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე **ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობა „ამერ-იმერი"-ს კრების ოქმი №34-ზე.**

ნოტარიუსის საზღაური: საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილებით დამტკიცებული „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" 2 (ორი) ლარი - მუხლი 31.3 + დღგ 0.36 (ოცდათექვსმეტი) თეთრი - თანახმად საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა + 2 (ორი) ლარი სანოტარო მოქმედებათა ელექტრონული რეგისტრაციის საფასური – მუხლი 39.1, თანახმად ზემოთ მითითებული დადგენილებისა, სულ 4.36 (ოთხი ლარი და ოცდათექვსმეტი თეთრი) ლარი.

ნოტარიუსი: _____ **ქეთევან გრიგოლია**

